

შპს „ეარფლეინ ტექნიკს“

2021 წლის

ფინანსური ანგარიშგება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს "ეარფლეინ ტექნიკსი"-ს დირექტორის
ლამა ხუციშვილის მიერ




გაკოტრების მმართველი

თ. შუდაროვა

შპს ეარფლეინ ტექნიკს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის

	31/12/21	31/12/20
	GEL	GEL
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	73,777	12,579
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	648,174	1,609,816
სხვა მოთხოვნები		23,007
სხვა მოკლევადიანი აქტივები	25,832	40,403
ძირითადი საშუალებები	1,835,015	1,862,617
სულ აქტივები	2,582,798	3,548,422
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	978,301	1,069,014
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	81,144	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	19,214,184	18,686,386
სხვა ვალდებულებები	3,898	2,175
სულ ვალდებულებები	20,277,527	19,757,599
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	100,000	100,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-17,794,729	16,309,177
სულ საკუთარი კაპიტალი	-17,694,729	16,209,177
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,582,798	3,548,422



გაკოტრების მმართველი

თ. შულაროვა

2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	31/12/21	31/12/20
	GEL	GEL
ნეტო ამონაგები	216,020	136,794
მომსახურების გაწევიდან	216,020	136,794
გაყიდვების თვითღირებულება		-10,306
საერთო მოგება	216,020	126,488
დასაქმებულთა ანაზღაურება	-314,595	-622,182
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-186,378	-189,785
საპროცენტო ხარჯი	-1,275,784	-1,342,973
იჯარის ხარჯი	-264,000	-270,102
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-136,080	-256,065
სულ საოპერაციო ხარჯები	-2,176,837	-2,681,107
საოპერაციო მოგება	-1,960,817	-2,554,619
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით		
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	1,038,673	-2,087,138
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	-922,144	-4,641,757
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-922,144	-4,641,757
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-922,144	-4,641,757
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის		
დასაწყისში	-16,209,177	-11,561,969
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-563,408	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-5,451
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-17,694,729	-16,209,177


გაკოტრების მმართველი

თ. შულაროვა

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021
წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეარფლეინ ტექნიკს“ დაარსებულია 2015 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ბროსეს ქ. #2; საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორია. საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სამოქალაქო საჰაერო ხომალდების რემონტი და ტექნურუნველყოფა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში, ლარში (GEL).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, არაწრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი, მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 20 პროცენტი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი მოვიდა - პირველი გავიდა“ (FIFO) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები


რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

გაკვეთების მმართველი

თ. შუღაროვა



3. განმარტებითი შენიშვნები

ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები

მუხლი „ფული და ფულის ეკვივალენტები“ (12,579 ლარი) ასახავს ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხების ჯამს, შემდეგი მნიშვნელობებით:

	31/12/21	01/01/221
ნაღდი ფული სალაროში	1,420	1,236
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	34,638	8,933
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	37,718	2,409

მუხლი „ძირითადი საშუალებები“ ასახავს საწარმოს ძირითადი საქმიანობის - სამოქალაქო საჰაერო ხომალდების რემონტი და ტექნიკური უზრუნველყოფა - განსახორციელებლად აუცილებელი მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების, საოფისე ტექნიკისა და ავეჯის ნაჩენ ღირებულებას.

მუხლი „გრძელვადიანი არასაბანკო სესხი“ აღნიშნავს არარეზიდენტი იურიდიული პირისგან (რიდლსფორდ ფინანსიულ სა) აღებული გრძელვადიანი სესხების მდგომარეობას. სესხი აღებულია ევროში და აშშ დოლარში, წლიური 10%-იანი სარგებლით.

პერიოდის დასწყისისათვის მდგომარეობა შემდეგნაირი იყო:

ძირითადი	4,073,742 \$	13,348,023 ლარი
	97,000 EUR	390,260 ლარი
სარგებელი	1,466,709 \$	4,805,818 ლარი
	35,364 EUR	142,283 ლარი

ხოლო პერიოდის ბოლოსათვის:

ძირითადი	4,073,742 \$	12,618,823 ლარი
	152,000 EUR	532,608 ლარი
სარგებელი	1,863,765 \$	5,773,199 ლარი
	48,097 EUR	168,532 ლარი

ბ) სრული შემოსავლისა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

მუხლის „ამონაგები“ მნიშვნელობა, 216,020 ლარი, მოიცავს 2021 წ. რეალიზებული მომსახურების ღირებულებას. აქედან 107,323 ლარის ამონაგები მიღებულია დამკვეთებისათვის საჰაერო აპარატების რემონტის და ტექდათვალიერების მომსახურების მიწოდებით, ხოლო 58,410 ლარის ამონაგები - ანგარის ფართის მოკლევადიანი გაქირავებით.

მუხლის „საპროცენტო ხარჯი“ მნიშვნელობა (1,275,784 ლარი) მოიცავს პერიოდის განმავლობაში გრძელვადიან არასაბანკო სესხებზე დარიცხულ სარგებელს.

შპს „ეარფლეინ ტექნიკის“ საწარმოო სიმძლავრეები განლაგებულია საქართველოს აეროპორტების გაერთიანების საკუთრებაში არსებულ, აღნაგობის უფლებით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე აღმართულ ნაგებობაში (ანგარში). ხელშეკრულებით, აღნაგობის უფლების სანაცვლოდ განსაზღვრულია ფიქსირებული გადასახდელი - 25,960 ლარი თვეში. ურთიერთობა აღიარებულია ჩვეულებრივ იჯარად. ასევე საქართველოს აეროპორტების გაერთიანებისაგან იჯარით (1,800 ლარი თვეში) აღებულია ფართი ქუთაისის აეროპორტში. სულ საიჯარო გადასახდელების ხარჯმა პერიოდის განმავლობაში შეადგინა 264,000 ლარი.

შედეგად, პერიოდის განმავლობაში მიღებულია საოპერაციო ზარალი 1,038,673 ლარის ოდენობით. საკურსო სხვაობებით გამოწვეულმა შემოსულობამ შეადგინა 1,038,673 ლარი, ხოლო მთლიანმა სრულმა ზარალმა 922,144 ლარი.

გ) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

2022 წ. დაიწყო და მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრება) საქმისწარმოება